

06

ART SYNTHESIS

ZE GAVLENA

ISSN 2667-9728 (Online)

RAV• art review 12.2021



ზე გავლენა

რავ • არტ მიმოხილვა 12.2021

ხელოვნება სიცოცხლეში

content შინაარსი

REACH art VISUAL PRESENTS

ინტერვიუ ხელოვანთან 4

ქანდაკება ფოკუსში. ინტერვიუ თამთა თამარა შავგულიძე

REACH art VISUAL PRESENTS

INTERVIEW WITH THE ARTIST 10

SCULPTURE IN FOCUS
IN CONVERSATION WITH TAMTA TAMARA SHAVGULIDZE

REACH art VISUAL PRESENTS

კერამიკა დღეს 15

ნატო ერისთავი

REACH art VISUAL PRESENTS

CLAY TODAY 18

NATO ERISTAVI

REACH art VISUAL PRESENTS

ხელოვნებათმცოდნის ბლოგი 22

მარიამ შერგელაშვილი
ახალგაზრდა ხელოვანების წარდგინება

სალომეა ბაუერი
ლიზა კვანტალიანი
თამა კვანტალიანი
ნაილი ვახანია
მაკო ლომაძე

REACH art VISUAL PRESENTS

BLOG BY ART HISTORIAN 33

MARIAM SHERGELASHVILI
REPRESENTING EMERGING ARTISTS

SALOMEYA BAUER
LISA KVANTALIANI
TAMA KVNATALIANI
MAKO LOMADZE
NAILI VAKHANIA

REACH art VISUAL PRESENTS

სპეციალური წარდგინება 44

ფერადი კაბრიოლეტი

მარიამ მაკარაშვილი
ჯულია სანიკიძე
ბექა საყვარელიძე

REACH art VISUAL PRESENTS

SPECIAL REPRESENTATION 51

COLORFUL CABRIOLET

MARIAM SHAKARASHVILI
JULIA SANIKIDZE
BEKA SAKVARELIDZE

REACH art VISUAL
ART consulting company

PRESENTS

ინტერვიუ ხელოვანთან

ქანდაკება ფოკუსში

ინტერვიუ თამთა თამარა შავგულიძესთან



1 ქანდაკების მნიშვნელობა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში

ძალიან საინტერესო კითხვაა, ვინაიდან არა მხოლოდ ქანდაკების, არამედ თავად ხელოვნების მნიშვნელობა და ფუნქციაც კი სხვაობს კულტურაში, გააჩნია აუდიტორიას. რა თქმა უნდა, ქართულ ქანდაკებას თავისი მყარი ადგილი უჭირავს ქართული ხელოვნების ისტორიაშიც და მის მიმდინარე პროცესშიც, მაგრამ მეჩვენება, რომ მისი ეს ადგილი ისევ ხელოვნებათმცოდნეებისთვის, კურატორებისთვის, მოქანდაკეებისთვის და ქანდაკებით დაინტერესებული პირებისთვის არის შესამჩნევი. სიმართლე გითხრათ, არ ვარ დარწმუნებული რომ დღეს ქართული ქანდაკება და მასში მიმდინარე პროცესები ხელოვნების ყველა დარგის წარმომადგენლისთვის ხილვადია, არც იმაში ვარ დარწმუნებული, რომ დღეს ქართულ ქანდაკებას დიდი ადგილი უჭირავს იმ მოქალაქეთა რეალობაში, რომელთა ინტერესები და სამოქმედო არეალი სახელოვნებო პროცესებს მიღმაა, მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ქართული ქანდაკების დარგი ძალიან მდიდარია, როგორც სტილისტური თვალსაზრისით, ასევე ადამიანური რესურსების თვალსაზრისითაც. დღეს ერთდროულად მუშაობენ სრულიად სხვადასხვა თაობის მოქანდაკეები, მეტიც, ქანდაკების სამეტყველო ენა ისე გაფართოვდა, რომ ქანდაკების დარგში შემოვიდნენ ფერმწერებიც, კერამიკოსებიც, არქიტექტორებიც, დიზაინერებიც, კონცეფტუალისტი არტისტებიც, მათმა ინტერვენციამ კიდევ უფრო გაამდიდრა და საინტერესო გახადა ქართული ქანდაკების ტერიტორია. თუმცა პროცესი ძალიან ფრაგმენტულია, მონაწილეებს აკლიათ ერთმანეთთან კომუნიკაცია, გამოფენები ძალიან სპორადულია. ტრადიციული, მრგვალი ქანდაკების სკოლის წარმომადგენლებისთვის ალბათ ჩემი მოსაზრებაც სადაოა იმის თაობაზე, რომ მომიჯნავე დარგების წარმომადგენლებმა განავრცეს ქანდაკების ენა.



ისევ თქვენს კითხვას რომ დავუბრუნდე, ქანდაკების მნიშვნელობის თაობაზე ქართულ ხელოვნებაში, კიდევ უფრო დავაკონკრეტებდი მას და ვიკითხავდი თუ როგორ განისაზღვრება თავად ქანდაკების მნიშვნელობა ქართული ხელოვნებისთვის? რა თქმა უნდა, გულისხმობს ქანდაკების მჭიდრო კავშირს სხვა სახელოვნებო დარგებთან, ხელოვნების გამდიდრებას სამეტყველო ფორმების მრავალფეროვნებით, სახვითი, ვიზუალური ლექსიკონის განვრცობას, მასალებით ექსპერიმენტირებას, სხვა დარგებისთვის სარეფლექსიო ინფორმაციის შეთავაზებას, ერთი სიტყვით, ძალიან დიდ პროცესს, რომელსაც კონტრიბუცია შეაქვს ქართული ხელოვნების თანადროულად მიმდინარე პროცესში. თუმცა პროცესში ამგვარი ჩართულობისთვის და მნიშვნელობის მოპოვებისთვის, ქანდაკება უნდა იყოს სათანადოდ წარმოჩენილი და ხილვადი! წარმოჩენა ნიშნავს გავლენების სფეროს გაფართოებას, რაც სხვა დარგებისთვისაც სფეროს სამეტყველო ენისა და სააზროვნო ფორმატის მეტ ხელმისაწვდომობას გულისხმობს. ამ მხრივ, ქანდაკება დღევანდელ რეალობაში საკმაოდ რთულ მდგომარეობაშია, რადგან მისი საგამოფენოდ მომზადება და ექსპონირება ძვირია, კიდევ უფრო ძვირია მოქანდაკისთვის საკუთარი იდეების მასალაში გადატანა, ექსპერიმენტირება, შესაბამისად დაზგური ქანდაკება კამერულ სივრცეში, ინტერიერში, კერძო კოლექციებში ჩაიკეტა. ვშიშობ რომ ბაზრის მოთხოვნასაც დაექვემდებარა, რაც ნიშნავს შემოქმედებითი და ექსპერიმენტული პროცესის მინიმუმ შესუსტებას, მაქსიმუმ წყვეტას.

ჩვენს რეალობაში ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი ქანდაკების ხილვადობის გასაზრდელად არის საჯარო სივრცე. არა ერთხელ ვახსენე ქანდაკების დარგის სიძვირე, ჩვენი ქვეყნის შემთხვევაში, საჯარო სივრცეში ქანდაკების განთავსების უპირატესობა, უიშვიათესი გამონაკლისების გარდა, მხოლოდ სახელმწიფოს აქვს, სხვა არავინ ფლობს ამხელა რესურსებს ან თუ ფლობენ, მათ საჯარო სივრცის ქანდაკებაზე გახარჯვას არ თვლიან საჭიროდ. მოქანდაკეებს კი საჯარო სივრცეში განსათავსებლად კონკურსების გავლით მიღებული სახელმწიფო დაკვეთებიღა რჩებათ. აქ მნიშვნელოვან პორბლემას ვაწყდებით - საბოლოოდ გამარჯვებული პროექტების სამეტყველო ენა იმდენად მოძველებულია, რომ ისინი ვერ უწევენ კონკურენციას თანამედროვე ურბანულ სივრცეს და იკარგებიან ქალაქის ქსოვილში. არის ნათელი გამონაკლისებიც, მაგრამ იმისთვის რომ ქანდაკებამ მძლავრი გავლენა მოახდინოს მიმდინარე რეალობაზე და თანამედროვე სახელოვნებო დისკუსში უფრო აქტიურად ჩაერთოს, ამისთვის, საჯარო სივრცის ერთეული კარგი ნამუშევარი არ კმარა, წარმატებული და წარუმატებელი პროექტების შეფარდება უნდა შეიცვალოს.

სიმართლე გითხრათ მაკვირვებს საჯარო სივრცის ქანდაკების ასეთი წარუმატებლობა, იმის ფონზე რომ საქართველოსნაირ პატარა ქვეყანაში ბევრი მართლაც საინტერესო მოქანდაკე მუშაობს აქ და ახლა, ჩვენს გვერდით. ვვარაუდობ რომ პრობლემის გამომწვევი მიზეზი რამდენიმეა: ჩატარებული კონსკურსები და საკონკურსო ამოცანები, საკონკურსო თემატიკა, მოქანდაკეების შიში, რომ ექსპერიმენტულ და თანამედროვე ქანდაკებას გამარჯვების ნაკ-









ლები შესაძლებლობა ექნება. ესეც მხოლოდ ვარაუდია, მაგრამ ფაქტია, რომ საჯარო სივრცის პოლიტიკა იმ ნაწილში, რაც ეხება ქანდაკებას გამოსამუშავებელია, შეგნებულად არ ვამბობ რომ გადასახედია, დღევანდელ საქართველოში უბრალოდ არ არსებობს ასეთი დოკუმენტი. მეტიც, საჯარო სივრცის პოლიტიკაში მხოლოდ მის სტრუქტურულ გააზრებას არ ვგულისხმობ, არამედ ქალაქის/ქალაქების შინაარსობრივ გააზრებას, ქვეყნის საჯარო სივრცეებში თანამედროვე კულტურის რეპრეზენტაციის გეგმის არსებობას.

საჯარო სივრცეში ქანდაკების პრობლემაზე რასაც ვამბობ, მოქალაქისთვის იოლი გადასამოწმებელია, ასეთი ექსპერიმენტიც შეგვიძლია ჩავატაროთ, შევქმნათ თბილისის ან საქართველოს სხვა ნებისმიერი ქალაქის ერთი ქუჩის ე.წ. ასოციაციური რუკა, რომელზეც მოვნიშნავთ მხოლოდ მეხსიერებაში აღდგენილ ქანდაკებებს. აღმოვაჩენთ, რომ ბევრს ვერაფერს გავიხსენებთ. მიზეზი — მოქალაქის თვალისთვის ქანდაკების უმნიშვნელობა და უხილავობაა. ოდესღაც ქუჩის ინტერვიუები ჩავწერე ჰაინრიხ ბიოლის ფონდის დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, მაინტერესებდა რომელი ქანდაკებები ახსოვდათ ან რომელ ქანდაკებებს აფიქსირებდნენ მოქალაქეები და აღმოჩნდა, რომ მხოლოდ ის ქანდაკებები ახსოვთ, რომელთა შესახებაც ტელევიზიის მეშვეობით აქვთ ინფორმაცია მიღებული და არა ის, რომელიც ნანახი აქვთ. ეს ნიშნავს, რომ ან ქანდაკების სამეტყველო ენაა მოძველებული ან მისი შინაარსია თანამედროვე მოქალაქის ღირებულებრივი სისტემიდან ამოვარდნილი ან მისი განთავსების ადგილს სჭირდება გადახედვა. შეიძლება ძალიან კარგი ქანდაკებაც ჩაიკარგოს ქალაქში, დღევანდელი ქალაქის სივრცეც ძალიან დინამიურად იცვლება და ყოველი ცვლილებით უცვლის ქანდაკებას კონტექსტსაც და გარემოსაც, რომელზეც ასე ძალიან არის ქანდაკების ხილვადობა დამოკიდებული. მით უფრო, რომ თანამედროვე ქალაქი მთლიანად ინფორმატიულ საბურველშია გახვეული. აქ ქანდაკებას კონკურენციას უწევს ვიდეო რეკლამა, სამანქანო ნაკადი, ბანერები და ა.შ. ეს პრობლემა განსაკუთრებით თბილისში იგრძნობა, ქუთაისში როდესაც ვიყავი, მომეჩვენა, რომ ქანდაკება უფრო უკეთესად არის განთავსებული ქალაქში, ბევრად აქტიურად მონაწილეობს ქალაქის ცხოვრებაში. პრობლემის მოსაგვარებლად საჭიროა ურბანული პოლიტიკის გატარება.



2 ქართული ქანდაკების ხასიათი და თვითმყოფადობა; ტენდენციები და მიმართულებები, რომლებმაც ქართული ქანდაკების თვითმყოფად განვითარებაზე იქონიეს გავლენა

ქართული მრგვალი ქანდაკება სულ 100 წელს ითვლის. თუმცა საქართველოს ტერიტორიაზე პლასტიკური ფორმის ისტორია წინაქრისტიანულ ეპოქას და თავად ქრისტიანული ეპოქის ქანდაკებას - ქართულ საკულტო რელიეფს მოიცავს. უნდა აღინიშნოს, რომ ქართული მრგვალი ქანდაკების განვითარების პროცესი ძალიან ეკლექტური იყო. იაკობ ნიკოლაძის წყალობით ქართული ქანდაკების ისტორია იმპრესიონისტული ქანდაკებიდან იწყება, რაც პირადპირი გზა იყო ახალი ევროპული ქანდაკებისკენ, მაგრამ განვითარების ამ ეტაპიდანვე პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, უხეში ჩარევა მოხდა სახელოვნებო პროცესში, რამაც ქართული ქანდაკების სოციალისტური რეალიზმის პრინციპებზე გადასვლა გამოიწვია. ყველაზე ხანგრძლივი და მდგრადი პერიოდი მეოცე საუკუნის ქართული ქანდაკების ისტორიაში პოლიტიკური რეჟიმით გამყარებული სოციალისტური რეალიზმი აღმოჩნდა. ამის მიუხედავად, ქართველმა მოქანდაკეებმა მაინც მოახერხეს და უპირატესად დასავლეთ ევროპული ქანდაკების მიერ გავ-

ლილი გზა ფრაგმენტულად, რთულად, მაგრამ გაატარეს ქართულ ქანდაკებად. შეიძლება ითქვას, რომ შეუძლებელი შესძლეს, მადლობლები უნდა ვიყოთ მათი. ხშირად ამგვარი “თავნებობა” და საკუთარი შემოქმედებითი პრინციპებისადმი ერთგულება მოქანდაკეების პროფესიული მარგინალიზაციით სრულდებოდა. იყვნენ მოქანდაკეები, რომლებიც მიჰყვებოდნენ სოციალისტური რეალიზმის გზას, მაგრამ მათი მაღალი შემოქმედებითი კულტურა, სოციალისტურ ქანდაკებებს ღირებულებას მატებდა. მეოცე საუკუნის ქართულ ქანდაკებაში პერიოდულად თავს იჩენდა ქართული ქრისტიანული პლასტიკის — რელიეფისა და საეკლესიო კედლის მხატვრობის პრინციპების ინკორპორირების მცდელობები, რაც საკმაოდ წარმატებულად ხორციელდებოდა. შეიძლება ითქვას რომ ქართული ქანდაკების უნიკალურ მაგალითებზე საუბრისას, სწორედ მრგვალი ქანდაკებისა და რელიეფის/ მონუმენტური ფერწერის ერთად გადააზრების მცდელობები იგულისხმება. ჩვენს ქანდაკებაში საინტერესოდ გადამუშავდა მეოცე საუკუნის ფრანგული და იტალიური სკოლა, ასევე ეგეოსური ქანდაკების გააზრების მცდელობებმა სოციალისტური რეალიზმის მაჟორული ჟღერადობის საპირწონედ მეტი სირბილე და ადამიანურობა შესძინეს ქართულ ქანდაკებას. აბსტრაქტული ქანდაკების ხაზი გაძლიერებული ჩანს მეოცე საუკუნის 90-იანი წლებიდან, თუმცა სპორადულად მანამდეც ვხვდებით. მეოცე საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე მსოფლიო ქანდაკებიდან სხვადასხვა ტენდენციის ერთბაშად შემოდინებამ განაპირობა განსხვავებული მიმართულებების სწრაფი ცვალებადობა. ამდენად, ქანდაკების მემკვიდრეობა არ უკავშირდება ჩვენთან მხოლოდ ქართული ქანდაკების რომელიმე სკოლის ფორმირებას, ის მეტწილად დაკავშირებულია სხვადასხვა ხელოვანთან, მოქანდაკესთან, რომლებმაც კონკრეტული მიმართულებები განავითარეს თავიანთ შემოქმედებაში. ერთიანი ხაზი რომ გამოიკვეთოს და სისტემური ანალიზი მოხდეს, მნიშვნელოვანია მკვლევართა გააქტიურება. როგორც ხედავთ სურათი საკმაოდ ეკლექტურია, ვინაიდან დომინანტური, პოლიტიკური გავლენის მიღმა, ქართველი მოქანდაკეები მუდმივად ეძებდნენ ახალ ფორმებს, ამუშავებდნენ და იაზრებდნენ ევროპული ქანდაკების გამოცდილებას, რამაც ქართული ქანდაკება იხსნა გარდუვალი სტაგნაციისგან. იგვე შეიძლება ითქვას არა მხოლოდ ფორმის დამუშავების, არამედ ჟანრული მრავალფეროვნების სასარგებლოდ. დღეს ქართული ქანდაკების არსენალში გვაქვს როგორც რელიგიური, ასევე მითოლოგიური, ისტორიული, პორტრეტული, ანიმალისტური და სხვ. ჟანრები. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ისტორიული და მემორიალური ტიპის ქანდაკებების სიჭარბემ, რითიც გამოირჩეოდა და დღემდე გამოირჩევა სახელმწიფო დაკვეთა, საკმაოდ შეუზღუდა სამუშაო არეალი მონუმენტურ ქანდაკებას, ისევე როგორც არასასურველ გავლენას ახდენს საქართველოს მოქალაქეების მსოფლმხედველობაზე — კიდევ ერთი მიზეზია, იმისა, რომ ყოველთვის ისტორულ მეხსიერებაზე ვაპელირებთ, ნაცვლად იმისა, რომ მიმდინარე რეალობის სრულფასოვანი მონაწილეები ვიყოთ.





დღევანდელი შეფასებით დროის ამ მოკლე მონაკვეთში თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართული ქანდაკების მემკვდრეობა ყველა მნიშვნელოვან ეტაპს და მიმართულებას უყრის თავს და ხდება ადგილობრივი კონტექსტის გადააზრება. ძალიან დინამიური იყო და ასეთადვე რჩება დაზგური ქანდაკება, ობიექტი, ინსტალაცია. ძალიან ადინამიური იყო და ასეთადვე რჩება სახელმწიფო დაკვეთებზე დამოკიდებული მონუმენტური ქანდაკება. ქართველ მოქანდაკეებს გაცილებით საინტერესო ნამუშევრები აქვთ შექმნილი და აღმართული მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, ვიდრე თავად საქართველოში, დასკვნები თქვენთვის მომინდვია. კიდევ ერთხელ უნდა ვთქვა რომ დღეს ქანდაკებაში მუშაობენ მომიჯნავე დარგების წარმომადგენლებიც, რაც ჩემთვის ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი მოვლენაა, ვფიქრობ, რომ სწორედ მათი ჩართულობა აწევს დღეს ახალ და საინტერესო ბიძგებს ქანდაკებას.

კულტურა სამყაროს გააზრების და ფორმირების ყოვლისმომცველი ფორმაა

3 სკულპტურია დარგობრივი მახასიათებლის გათვალისწინებით, როგორ ხედავთ ამ დარგის პოპულარიზაციის სტრატეგიას

დღეს ცალკეული დარგების პოპულარიზაციის პრობლემა არ გვექნებოდა, რომ არ გვქონდეს პრობლემა კულტურის დონეზე. ხელოვნების პრობლემები, მით უფრო ასეთი ტიპის, ყოველთვის პროვოცირებულია კულტურის ველში გაჩენილი პრობლემებით. დღეს საქართველოში კულტურის მექანიზმები უზომოდ შეზღუდულია. მხოლოდ თეატრში ან მუზეუმში მისვლა არ არის საკმარისი კულტურის აქტუალიზაციისთვის. კულტურა სამყაროს გააზრების და ფორმირების ყოვლისმომცველი ფორმაა, რომლის კომპონენტური შემადგენელია ქანდაკება და ნებისმიერი სხვა სახელოვნებო ფორმა.

დღევანდელი ეკონომიკურად შეჭირვებული და შინაარსობრივად პოლიტიზირებული, შესაბამისად უკიდურესად გამარტივებული, თვითგადარჩენაზე ორიენტირებული ყოფა ყველას გვიქმნის არამხოლოდ ფინანსური, არამედ შინაარსობრივი კრიზისის საფრთხეს. უკვე კრიზისში იზრდებიან მომავალი თაობები, ვინაიდან სკოლა, როგორც ინტელექტუალურ წვრთნის სივრცე, დევალვირებულია. ამიტომაც, ანგარიშგასაწევი ფაქტია, რომ ზემოთჩამოვლილი თუ სხვა მიზეზების გამო, ხელოვნებას საქართველოში შეუმცირდა კომპეტენტური აუდიტორია. სტრატეგიის ნაწილი უნდა იყოს საგანმანათლებლო პროცესში გადაიხედოს ხელოვნების სწავლების ფორმა, ის როგორც დღეს ისწავლება ხელოვნება, დიდ შედეგზე არავის გაიყვანს, ისევ ვაწვდით ინფორმაციას, როგორც ეს სჩვევია ჩვენს სკოლას, ნაცვლად იმისა, რომ ხელოვნების გაგებისა და გააზრების მექანიზმები ჩამოვუყალიბოთ. ამის გარეშე, გამოდის, რომ ერთის მხრივ უმაღლეს სკოლებში განათლებას იღებენ მომავალი ხელოვანები, რომლებიც წინასწარ არიან განწირულები აუდიტორიის ნაკლებობისთვის.



ქანდაკებას რომ დავუბრუნდეთ, თუმცა სხვა სახელოვნებო დარგებზეც უნდა ვრცელდებოდეს იგივე მიდგომა - განათლების სისტემაში ხელოვნების სწავლების მოწესრიგებასთან ერთად, სტრატეგიის ნაწილი უნდა იყოს დაფინანსების საკითხის მოგვარება. ქანდაკების და ზოგადად თანამედროვე ხელოვნების განვითარებაზე როდესაც ვსაუბრობთ, ხშირად გვესმის რომ სახელმწიფო აქტიურად უნდა იყოს ჩართული ამ პროცესში. რა თქმა უნდა, სახელმწიფოს აქვს მთავარი რესურსები ხელოვნების მხარდასაჭერად, მაგრამ ჩემთვის მიუღებელია სახელოვნებო ინიციატივებში სახელწიფოს როლის ამდენად ზრდა და მისი დაფინანსების პროცესში პირდაპირი ჩართულობა, რაც აუცილებლად გამოიწვევს ხელოვნებაში სიტყვის თავისუფლების შესუსტებას ან შეზღუდვას. დაფინანსების ასეთი სისტემა საფრთხეების შემცველი და არასასურველია. უფრო სწორი იქნებოდა, სახელმწიფოს შეემუშავებინა დაფინანსების პოლიტიკა, რომლის წარმმართველი პრინციპი იქნებოდა სახელმწიფოსგან წამოსული თანხების დელეგირება შუამავალ ფონდებზე და დაფინანსების კონკურსების, მხოლოდ კონკურსების და არა პირდაპირი დაკვეთის გზით გაცემა. დღეს მაგალითისთვის, ქანდაკებაზე გამოცხადებული კონკურსი რომ ავღწეროთ, მიხვდებით, სადაცაა კრიზისის სათავე 1. კონკურსი ცხადდება მხოლოდ საჯარო სივრცეში განსათავსებელ ქანდაკებაზე, რაც დაზგური ქანდაკების განვითარებას, მის ჟანრულ მრავალფეროვნებაზე ზრუნვას, გამორიცხავს. 2. კონკურსებს თვალი რომ გადაავლოთ, ისევ ისტორიულ ან მემორიალურ ქანდაკებებზეა გამოცხადებული მიღება. არ ვიცი როგორ მოახერხეს და ხელოვნების და კულტურის არსენალიდან, როგორ დატოვეს მხოლოდ ეს ორი ჟანრი. ამიტომ არის საჭირო ბევრი სხვადასხვა ტიპის ფონდის არსებობა, ამის გარეშე თემატიკაც შეზღუდულია და მეტიც, ქანდაკების კონკურსების თემატიკა სახელმწიფო უწყებების იმედად არის დარჩენილი. არსებობს ასევე კომისია თბილისის მერიაში, რომელიც განიხილავს მოქალაქეების ინიციატივებსაც, მაგრამ საერთო სურათში ვერაფერს შველის, ერთმა მერიამ რამდენი ინიციატივა შეიძლება განიხილოს და შეასრულოს.გარდა ამისა, მერიის გასაფილტრი რატომ უნდა იყოს ასეთი ინიციატივები. ასეთი ინიციატივებისთვის უნდა არსებობდნენ ფონდები, რომლებსაც სხვადასხვა პრიორიტეტები ექნებათ რაც უზრუნველყოფს მრავალფეროვნებას და განსხვავებულობას. მრავალფეროვნება და განსხვავებულობა არ არის ცარიელი სიტყვები, ამის უკან დგას შესაძლებლობა ყველას მიეცეს თვითგამოხატვის სივრცე, ამაზე უფრო ღირებული ხელოვნებაში რა შეიძლება იყოს. 3. პრობლემებს რომ დავუბრუნდეთ, კიდევ ერთი მათგანია საკონკურსო კომისიები — კომისიის შემადგენლობაში აბსოლუტურად არ ხდება როტაცია, ერთი და იგივე ორგანიზაციების წარმომადგენელები სხედან კომისიებში, რაც ნიშნავს რომ კომისიის წევრების ცვლილებით, არსობრივად არაფერი იცვლება. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ სახელმწიფო მოხელეები რაოდენობრივად მეტნი არიან კომისიებში, ვიდრე დარგის პროფესიონალები, რაც ასევე არასწორია. ზემოთ ჩამოთვლილი საკითხები აისბერგის წვერია, სიღრმეში არ ჩავალ, საჯარო სივრცეში დადგმული ქანდაკებების მიხედვით, შედეგს თქვენც ხედავთ, თუნდაც უახლესი კონკურსი რომ ავიღოთ ახალციხეში. კრიტიკას ვერ უძლებს ვერც პროცესი და ვერც შედეგი.

სტრატეგიის ნაწილად, განათლებასთან და დაფინანსების ფორმებთან ერთად, უნდა იქცეს კვლევების წარმოება. ევროპისა და ამერიკის ქვეყნების წარმატება, რომლებზეც ვიღებთ ორიენტაციას, დგას კომპეტენტურად გააზრებულ პროცესზე. ნებისმიერი საქმიანობის დასაწყისში ჯერ კეთდება კვლევები, კვლევების შედეგების მიხედვით იგეგმება პროცესი, ბოლოს მიღწეული შედეგების გასააზრებლად, ისევ მიმდინარეობს კვლევა. თუ სახელმწიფომ კვლევების მნიშვნელობა, როგორც მისი სტრატეგიის წარმატების ერთ-ერთი წინაპირობის მნიშვნელობა არ გაიაზრა, ამის გარეშე ყველა პროცესი კულტურის სტრატეგიაში იქნება ფრაგმენტული, პიროვნებებზე და მათ გარემოცვაზე დამოკიდებული. რაც ყოველთვის ნეგატიურად აისახება მთელ პრო-

ცესზე კულტურაში, მათ შორის ქანდაკებაზეც.

პ.ს. მკითხველი იტყვის, რომ სახელმწიფოს სთხოვთ თანხას და მაინც მას ზღუდავთ ამ პროცესშიო, ხშირად გამიგია ამ ტიპის მოსაზრება, ამიტომ აქვე უნდა გავუსვა ხაზი - ეს თანხა არის მოქალაქეების გადასახადებისგან ფორმირებული თანხა, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს ფინანსური პოლიტიკის არსებობა და გამჭირვალობა და იყოს ანგარიშვალდებული მოქალაქის წინაშე.

მართალია სახელმწიფო სტრატეგია ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი ნაწილია ჩვენი ტიპის ქვეყნისთვის, მისი განვითარების ამ ეტაპისთვის, მაგრამ სახელმწიფო სტრატეგიის მიღმა, აუცილებელია დავინახოთ ქანდაკების პოპულარიზაციისთვის სხვა შესაძლებლობებიც. მაგალითად, კერძო ინიციატივები, რაც მოიცავს ყველაფერს, კერძო გალერეებიდან დაწყებული, კოლექციონერებით და კურატორებით გაგრძელებული. რა თქმა უნდა რთულია, რა თქმა უნდა ზემოთ აღწერილი რეალობა ამძიმებს პროცესს, მაგრამ ასეთ დროს, კერძო სამოქალაქო ინიციატივები და ჩვენგან წამოსული იმპულსები კიდევ უფრო მნიშვნელოვანია.

4 ქანდაკების კვლევის მეთოდოლოგიის სპეციფიკა თქვენი გამოცდილების მაგალითზე

2013 წელს, სამხატვრო აკადემიის სადოქტორო პროგრამაზე ჩაბარებამდე, შერჩეული მქონდა კვლევის საგანი, ვიცოდი რომ ქანდაკება იქნებოდა.

სამხატვრო აკადემიაში სადოქტორო პროგრამაზე განაცხადის გაკეთებამდე ცხადია გავიარე კონსულტაცია ჩემს უფროს კოლეგებთან, რომლებმაც გამაფრთხილეს, რომ უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში, ცალკეულ სტატიებს თუ არ ჩავთვლით, ქართულ ქანდაკებაზე მონოგრაფიული ნაშრომი არ შექმნილაო. აქაც მინდა მათ მადლობა გადავუხადო ჩემს უფროს კოლეგებს დიმიტრი თუმანიშვილს, თამარ ხუნდაძეს, სამსონ ლეჟავას, ჩემს ხელმძღვანელს, ნინო ღაღანიძეს, ძალიან მიჭერდნენ მხარს მას შემდეგ რაც მაინც გადავწყვიტე, რომ ქანდაკებაზე ვიმუშავებდი. მათ ყველაზე კარგად იცოდნენ რამდენი სირთულე იყო გადასალახი. მათთან კონსულტაციის შემდეგ მივხვდი, რომ მასალის კვლევამდე მოკვლევის ეტაპი იქნებოდა ძალიან სკრუპულოზურად დასაგეგმი. ძალიან დამეხმარა ამაში რამდენიმე წლით ადრე, ჰაინრიხ ბიოლის ფონდში მოპოვებული სტიპენდია, რომელიც თბილისის ურბანულ ქსოვილში ქანდაკების ფორმადწარმომქმნელი ფუნქციის კვლევას გულისხმობდა (2008წ.) და მოგვიანებით, საქართველოს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთწლიანი სტიპენდია (2012 წ). რომელმაც შესაძლებლობა მომცა მთელ საქართველოში მემოგზაურა, პროექტის ფარგლებში გადამეღო ყველა მუზეუმში დაცული ქანდაკების ყველა ფონდი, საქართველოს ყველა დიდ ქალაქში და სოფელში საჯარო სივრცეში დადგმული ქანდაკებები. ცხადია ასევე გადავიღეთ თბილისის სივრცე და თბილისის მუზეუმების ფონებში დაცული ქანდაკებები. პროექტში ჩართული იყო ძალიან კარგი ხელოვნებათმცოდნე და ფოტოხელოვანი, სოფია ლაპიაშვილი. თამამად შემიძლია ვთქვა რომ სოფიას წყალობით, ქანდაკებებს არაჩვეულებრივი ფოტო დოკუმენტირება გაუკეთდა, თითოეული ექსპონატი გადაღებულია ხედვის რამდენიმე წერტილიდან. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონალური მუზეუმების ფონზე, თბილისში, ეროვნულ მუზეუმში უბრალოდ დაუშვებელი გულგრილობით, ჩაბნელებულ და ნესტიან სივრცეში იყო შეყრილი ქართული ქანდაკების მემკვიდრეობა. რეგიონალურ მუზეუმებს სად აქვთ ის ექსპონატები, რაც ეროვნულ მუზეუმს. არადა უნდა ნახოთ როგორ უვლიან ქანდაკებებს ქუთაისის, ბათუმის, თერჯოლის და საქართველოს სხვა რეგიონალურ მუზეუმებში. გამიმართლა, რომ იმ მომენტში ეკატერინე კიკნაძე ხელმძღვანელობდა ქანდაკების ფონდს, მუზეუმის მენეჯმენტის გულგრილობით მიტოვებული ქანდაკებების პასპორტები ჰქონდა გაკეთებული და ფოტოები გადაღებული, რაც დაუნანებლად გადმომცა პროექტისთვის და მადლობას ვუხდი მას ამისთვის.

პროექტის ბოლოს გავაკეთე ქართული ქანდაკების უზარმაზარი ციფრული ბაზა, რომელიც ახლა რუსთაველის ეროვნული ფონდისა და ჩემს პირად არქივში ინახება.

ცხადია დავამუშავე პერიოდული პრესა, ლიტერატურა, უამრავი კერძო თუ ბიბლიოთეკებში დაცული არქივი მოვიძიე, რომ შემძლებოდა ქართული ქანდაკების უკანასკნელი 50-60 წლის ისტორიის რეკონსტრუირება და ერთიან პროცესად დანახვა. დავასისტემე მოპოვებული ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც თაობებად დავაჯგუფე მოქანდაკეები. სამი წლის შრომის შემდეგ საარქივო მასალა ისე დავალაგე, რომ ქართული ქანდაკების 110 წელი, დასაწყისიდან 2010-იანი წლების ჩათვლით შეძლებისდაგვარად იყო რეკონსტრუირებული და მასალა უკვე ექვემდებარებოდა სახელოვნებათმცოდნეო ანალიზისთვის აუცილებელ კონფიგურაციას, რასაც უნდა გამოევლინა სკულპტურული ფორმის განვითარების ხაზები, ურთიერთგავლენები, წყვეტები, სტილები და სხვა.

ამის შემდეგ შევარჩიე მეთოდოლოგია, ცხადია სახელოვნებათმცოდნეო მეთოდოლოგიური ბაზა ავიღე იმისთვის რომ მასალის გააზრება და დასისტემება შესაძლებელი ყოფილიყო. წამყვანი მეთოდი იყო ფორმის ანალიზი. ამ კუთხით ვიმუშავე ჩემი დისერტაციის პირველ ნაწილზე. დავყავი მასალა ათწლეულებად, მოქანდაკეები დავასისტემე სამუშაო პერიოდის მიხედვით და დავასისტემე თაობებად, ვეცადე გამომეკვეთა თაობებს შორის შიდა კავშირები და გავლენები, ასევე მომეკვლია თითოეული თაობის მიერ გამომუშავებული სტილური მახასიათებლები, მოვიკვლიე რამდენად მემკვიდრეობითი იყო თაობებს შორის ფორმალური კავშირები და სხვ. მეორე ნაწილზე მუშაობისას, უკვე მოპოვებული მასალა ვეცადე გამეაზრებინა ქართულ კულტურაში მისი ფუნქციური დატვირთვის თვალსაზრისით. რაშიც ძალიან დამეხმარა მოქანდაკეების თაობებად დასისტემება, გამოვყავი სამუშაო თემატიკა და სააზროვნო ვექტორები რაც დამახასიათებელი იყო თითოეული თაობისთვის და დისერტაციის მეორე ნაწილში ვეცადე სწორედ ეს ინფორმაცია ამეღო საკვლევ ობიექტად, ასევე ერთი ქვეთავი მივუძღვენი ქართული იდენტობის სკულპტურაში მანიფესტირებული პარამეტრების კვლევას. ასევე მოვიკვლიე ქანდაკების, ურბანული სივრცის მაიდენტიფიცირებელი ასპექტები. ყოველთვის მაინტერესებდა ის მომენტი, თუ როგორ გადალახა ქართულმა ქანდაკებამ სოციალისტური რეალიზმით გაპირობებული როლი და იდეოლოგიური პლაკატებიდან რა მომენტში და როგორ შეძლო კულტურის ტექსტების კვლევაზე გადასულიყო, შესაბამისად ეს პლასტიც გამოვიკვლიე. ცხადია კვლევისას ვერ ამოვწურე ყველა ის თემა, რითიც ქართული ქანდაკება კულტურის ტექსტშია წარმოდგენილი, მაგრამ დისერტაციასაც თავისი დროითი თუ მოცულობრივი ლიმიტი ჰქონდა. კვლევის ეს ეტაპი 2018 წელს გამოცემული წიგნით “მეოცე საუკუნის ქართული ქანდაკება (ფორმისა და ფუნქციის ტრანსფორმაცია)” დასრულდა. წიგნი ხელმისაწვდომია თბილისის სამხატვრო აკადემიისა და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდებში.




TAMTA TAMARA

SHAVGULIDZE

REACH art VISUAL ART consulting company PRESENTS

INTERVIEW

Sculpture in Focus



The importance of sculpture in Georgian contemporary art

This is a very interesting question, since not only the importance and function of sculpture, But also function of art differs in culture, depending on the audience. Of course, Georgian sculpture has a solid footing in the history of Georgian art and its current processes, but it appears to me that today, once again, this footing is more noticeable for art historians, curators, sculptors and people interested in sculpture. To tell you the truth, I am not sure that Georgian sculpture and the processes taking place in it are detectable for the representatives of all fields of art, nor am I sure that Georgian sculpture occupies a big place in the reality of citizens whose interests and area of action lay beyond art processes. The field of Georgian sculpture is very rich, both stylistically and in terms of human resources. Today, completely different generations of sculptors work simultaneously, moreover, the language of sculpture has expanded so much that painters, ceramics, architects, designers, conceptual artists have entered the field, their intervention has enriched and made the Georgian sculpting territory even more interesting. However, the process is very fragmented, participants lack communication with each other, exhibitions are very sporadic. For the representatives of the traditional, three-dimensional sculptural tradition perhaps my opinion is debatable that the representatives of the neighboring fields have expanded the language of sculpture.

To circle back to your question, what is the importance of sculpture in Georgian art? –I would go deeper and ask you, what does the meaning of the sculpture itself imply for Georgian art? Of course, it entails its close connection with other fields of art, enriching and expanding figurative and visual art vocabulary, experimenting with materials, offering reflective information to other fields, in short, deeply creative process that contributes to the contemporary Georgian art. In order for this or that field to gain importance in the modern art space, it must be properly represented. Representation implies expanding the sphere of influence. In this respect, the sculpture is in a rather difficult situation in today's reality, because its exhibition is expensive, it is even more expensive for the sculptor to transfer ideas into material, to experiment, therefore the easel sculpture is locked in a chamber space, interior, private collections. I am afraid that it is also subject to the demand of the market, with further consequences. They lead to the abortion of experimental and creative process.

The most important tool in our reality to increase the visibility of the sculpture is the public space. I have repeatedly mentioned the high cost of sculpture, and, in the case of our country, with rare exceptions, only the state has the possibility of placing sculpture in public spaces, no one else has so many resources, or, if they do, they do not consider it necessary to spend on public sculpture. Thus, the sculptors are left to the mercy of the state orders received through tenders to be placed in public space. Here we face a significant problem - plastics and sculpting manner of the ultimately winning projects is so outdated that they can no longer compete with the modern urban space and get lost.

There are successful exceptions as well, but in order for sculpture to have a positively powerful impact on the current reality and become more actively involved in the contemporary art discourse, a single good piece of public sculpture is not enough, the ratio of successful and unsuccessful projects must be changed.

To be frank, I am surprised by such lack of success of public space sculptures, especially considering how many interesting sculptors are working now, among us, in this small country. I suppose that there are several causes for this: the competitions held and the competition tasks, the themes, the sculptors' fear that experimental and modern sculptures will have less chance of winning. This is merely a speculation, but it is a fact that we need to develop a public space policy in the context of sculpture. I am consciously not saying the policy needs to be revised, because in today's Georgia there is no such document in existence. Moreover, by public space policy I do not only mean its structural understanding, but also the essence of cities, a solid plan for the representation of modern culture in the public spaces of the country.

What I am saying about the issue of sculpture in public spaces is easily verifiable for citizens. We can also conduct an experiment where we create an associative map of one street in Tbilisi or any other city in Georgia. We can mark the images of the that we remember or that capture our attention on that street. We will discover that the citizens do not notice sculptures anymore. I once recorded street interviews as part of a project funded by the Heinrich Böll Foundation, wondering which statues were remembered or which statues were noticed by citizens, and it turned out that people only remember the statues about which they have received information through television and not the ones they have personally seen. This means that either the sculpture is outdated, or its content has fallen out of the value system of the modern citizen, or its location needs to be revised. Even a very good sculpture can be lost in the city. The space of today's city is also changing very dynamically and with each change it also transforms both the context and the environment of the sculpture, on which its visibility heavily depends. Even more so when the modern city is completely shrouded in information. Here, sculptures are contested by video advertisements, car flows, banners, and so on. This problem is particularly apparent in Tbilisi. When I visited Kutaisi, I got the impression that sculptures are better placed in this city and they participate more actively in the day-to-day life of the city. To address this problem, establishing an urban policy is necessary.

The character and identity of Georgian sculptures; Trends and directions that have influenced the original development of Georgian sculpture.

Georgian sculpture is only 100 years old. However, the history of the plastic form on the territory of Georgia includes the pre-Christian era and the sculpture of the Christian era itself. It has to be noted that the development of the Georgian sculpture was a very eclectic process. Thanks to Iakob Nikoladze, the history of Georgian sculpture begins with Impressionist sculpture, which was a direct path to new European sculpture, but from this stage of development, due to political cataclysms, there was gross interference in the artistic process and our art moved to the principles of socialist realism. The longest and most enduring period in the history of Georgian sculpture of the twentieth century turned out to be socialist realism, strengthened by the political regime. Nevertheless, Georgian sculptors still managed to take their creations along the predominantly Western European paths, despite the road being very fragmented and difficult. We can say they accomplished the impossible and we should be grateful for them. Often times, such 'stubbornness' and loyalty to their principles led to marginalization of artists. There were artists who followed the path of socialist realism, but their high creative culture added value to socialist sculptures. Attempts to periodically incorporate the principles of Georgian Christian sculpture - relief and church wall painting - appeared in twentieth-century Georgian sculpture, which was quite successful. We can say that the unique examples of Georgian sculpture are an attempt of rethinking sculpture and relief/monumental painting in one essence. Twentieth-century French and Italian schools have been interestingly redesigned in our sculpture, as well as attempts to understand Aegean sculpture have added more softness and humanity to Georgian sculpture in contrast to the major sound of socialist realism. The line of abstract sculptures seems to have strengthened since the 1990s, although we have seen it sporadically before. The simultaneous influx of different trends from world sculptures from the 90s to the present has led to rapid variability in different directions. Thus, the legacy of sculpture is not related to the formation of any school of Georgian sculpture here, but is largely related to various artists, sculptors who have developed specific directions in their work. For systemic, straight-line analysis, it is important that researchers are active in this field. As we can see, the image is quite eclectic, since beyond the dominant political influence, Georgian sculptors were constantly looking for new forms, elaborating and contemplating the experience of European sculpture, which saved Georgian sculpture from inevitable stagnation. The same can be said not only in favor of form processing, but also in favor of genre diversity. Today we have religious, mythological, historical, portrait, animalistic and other genres in the array of Georgian sculptures. It should be



noted that the abundance of historical and memorial sculptures, which was and still is a state order, has severely limited the working area of the monumental sculpture, as well as adversely affecting the worldview of Georgian citizens - another reason why we are always call on history and memories instead of being full participants in the current reality.

We can assess today that, in this short period of time, it can be boldly said that the legacy of Georgian sculpture includes all important stages and directions and the local context is being rethought. Easel sculpture, objects, installations were very dynamic and will remain so. Monumental sculptures, dependent on state orders, were very adynamic and will remain so. Georgian sculptors have created much more interesting works, and in different countries of the world – you can draw the conclusions yourselves. I must say once again that representatives of neighboring fields also work in sculpture today, which is a very interesting and important event for me, I think that their involvement creates new and interesting impulses to sculpture today.



Given the sectoral characteristics of sculpture, how do you see the popularization strategy for this field?

We would not be facing problems with popularizing specific fields if we did not have a problem in culture. Problems with art, especially of this type, are always provoked by problems in the field of culture. Today, the mechanisms of culture in Georgia are extremely limited. Going to a theater or museum alone is not enough to actualize the culture. Culture is the all-encompassing form of understanding and shaping the world, of which sculpture and any other art form are a component.

Today's economically stringent and politicized, therefore extremely simplistic, self-preserving existence threatens us not only a financial, but also a substantive crisis. Future generations are already growing up in a crisis as the school, as a space of intellectual training, is devalued. Therefore, it is an accountable fact that due to the above or other reasons, competent audience for art in Georgia has been reduced. Part of the strategy should be to revise the form of art teaching in the educational process. The way art is taught today will not lead to great results. We are still, as a custom, providing information in our school, instead of establishing mechanisms for understanding and comprehending art. Without this, it turns out that on the one hand high schools are educating future artists who are doomed in advance for an absence of audience.

To get back to sculpture, however, this approach should cover other art disciplines as well - along with regulating the teaching of art in the education system, part of the strategy should be to address the issue of funding. When we talk about the development of sculpture and contemporary art in general, we often hear that the state should be actively involved in this process. Of course, the state has the main resources to support art, but that such an increase in the role of the state in art initiatives and its direct involvement in its funding process would inevitably lead to a weakening or restriction of freedom of speech in the arts, which is unacceptable to me. Such a system of financing is risky and undesirable. It would be more correct for the state to develop a financing policy, the guiding principle of which would be to delegate finances from the state to intermediary funds and to issue funding through competitions, only competitions and not direct orders. For example, if we look at the sculpture competitions announced today, we will see clearly where the crisis stems from: 1. The competitions are announced only for sculptures to be placed in public spaces, which excludes the development and diversification of easel sculpture. 2. If we look at the competitions, only historical or memorial sculptures are, once again, being announced. I am unaware of how it is possible to only stick with these two genres out of the amazing variety of art and culture. That is why it is necessary to have many different types of funding, without this the themes are limited and moreover, the topics of sculpture competitions are left to the hope of state agencies. There is also a commission in Tbilisi City Hall, which







reviews the initiatives of citizens, but is, overall, ineffective - how many initiatives can be considered and implemented by one city hall. In addition, why should such initiatives be filtered by the mayor's office? For such initiatives, there should be foundations that will have different priorities that ensure diversity and variety. Diversity and variety are not empty words, behind this is the opportunity to give everyone space for self-expression, what could be more valuable in art than this. 3. To circle back to the problems – competition commissions are one of them. There is absolutely no rotation in the commission compositions. Representatives of the same organizations sit on commissions, which means that with the change of commission members, essentially nothing changes. Needless to mention the fact that there are more civil in the commissions than the professionals in the field, which is also wrong. The issues listed above are the tip of the iceberg, I will not go into depth. If we look at the sculptures put up in public spaces, we can see the result, even if we take the latest competition in Akhaltsikhe. Neither the result nor the process can withstand criticism.

Alongside education and the ways of funding, carrying out research needs to become a part of the strategy. The success of Europe and the United States, which we use as an example, is based on a competent, conceptualized process. Every action is preceded by research, then the process is planned out based on the results. To interpret the achieved results, another research is carried out. Unless the state realizes the importance of research as the precondition of success, all efforts in culture strategy will be fragmented, dependent on individuals and the environment. This will always reflect negatively on the whole cultural process, including sculpture.

P.S. the readers might think I am asking the state for financing, but still limiting its involvement in this process – I have heard this idea a lot, so I want to clarify: this is the money accumulated by the taxpaying citizens, which means the state is obligated to ensure transparency, financial policy, and accountability.

It is true that the state strategy is the biggest and most important part for a country like ours at this stage of its development, but beyond the state strategy, it is necessary to see other opportunities for the popularization of sculpture. For example, private initiatives that include everything from private galleries to collectors and curators. It is certainly difficult, of course the reality described above complicates the process, but at such times, private civic initiatives and the impulses coming from us are increasingly important.

The specifics of sculpture research methodology based on your experience



Before enrolling in a PhD program, I had already decided that my research topic would be Georgian sculpture. Before applying for a doctoral program at the Academy of Fine Arts, I consulted with my senior colleagues, who warned me that no monographic work on Georgian sculpture had been created in the last 50 years, except for some articles. I would like to express my gratitude to my elder colleagues Dimitri Tumanishvili, Samson Lezhava, Tamar Khundadze, to my scientific adviser, Nino Gaganidze, all of them supported me from the very first day of my choice of the research subject. They knew the best, what I had to go through. I realized that the pre-research phase before studying the material would need to be planned out very scrupulously. The scholarship I obtained a few years earlier from the Heinrich Böll Foundation to study the sculptural function in the urban fabric of Tbilisi (2008), and later a one-year scholarship from the Shota Rustaveli Georgian National Science Foundation (2012) helped me in this process a lot. This gave me the opportunity to travel throughout Georgia, I had the chance to explore sculptures kept at different museums and look at public space sculpture in every big city and village. Of course, we captured outdoor spaces of Tbilisi and sculptures kept in museums as well. A very interesting art historian and photographer, Sofia Lapiashvili was also involved in the project. I can boldly say that thanks to Sofia, the sculptures were perfectly photo-documented, with each exhibit taken from several points of view. At the end of the project, I made a digital photo-database of Georgian sculptures, which is now kept in the Rustaveli National Foundation and my personal archive.

Obviously, I worked on the periodical press, literature, I found archives kept in many private collections and libraries, which could reconstruct the history of the last 50-60 years of Georgian sculpture and frame it as a single process. I systematized the obtained information, on the basis of which I grouped the sculptors in generations. Three years later, I organized the material in such a way that 110 years of Georgian sculpture, from the beginning to 2010, were reconstructed as much as possible, and the material was already subjected to the necessary configuration for art analysis, which was necessary to reveal the lines of development of the sculptural form, the interactions, the breaks, the styles, and so on.

Afterwards, I selected the methodology. Obviously, I took the methodological basis of art history to make it possible

to understand and systematize the material. The leading method was shape analysis. In this regard, I worked on the first part of my dissertation. I divided the material into decades, sorted the sculptures according to the period of work and by generations, tried to outline the internal connections and influences between the generations, also explored the stylistic features by each generation, explored how hereditary the ties between generations were, and so on. While working on the second part, I tried to understand the already obtained material in terms of its functional meaning in Georgian culture. Systemizing the sculptors into generations helped me a lot in this. I identified the working topics and vectors that were typical for each generation and, in the second part of the dissertation, I tried to take this information as a research object, as well as a subsection dedicated to the study of the parameters manifested in the sculpture of Georgian identity. Additionally, I researched the identifying aspects of sculpture and urban space. I have always been interested in how Georgian sculpture overcame the role determined by socialist realism, and at what moment and how the it managed to switch from ideological posters to textual research, therefore, I explored this layer as well. Obviously, I could not cover all topics that Georgian sculpture brings to culture, but the dissertation had a time and volume limit. This phase of the research ended with the book "Georgian Sculpture of the Twentieth Century (Transformation of Form and Function)" being published in 2018. The book is available in the collections of the Tbilisi State Academy of Arts and the National Parliamentary Library of Georgia.







ნატო ერისთავი

REACH art VISUAL ART consulting company PRESENTS

კერამიკა დღეს

ნატო ერისთავი ერთ-ერთი გამორჩეული ხელოვანია, რომელიც თიხის მედიუმში მუშაობს. ის შემოქმედებითი ხედვით თიხის ობიექტებს ინსტალაციურად ამუშავებს - ქმნის, როგორც ინტერიერულ ობიექტებს, ასევე ადგილ-სპეციფიკურ სკულპტურებს, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა წერტილშია განთავსებული.

ფორმა და ვიზუალური ექსპერიმენტი ნატო ერისთავის შემოქმედებაში განსაკუთრებულად აქცენტირებულია. ხელოვანი გამომსახველობითი გააზრებისა და კონცეპტუალიზების გზით, თიხის, როგორც მასალის ფორმათქმნადობის შეუზღუდავ შესაძლებლობებს ავითარებს. ერისთავის ნამუშევრებში ხშირია არქეტიპული სიმბოლოების თანამედროვე ალტერნატიული მიდგომით დამუშავება. ნამუშევრები, როგორც სახე-ხატები ხშირად კედლის ობიექტის ფუნქციასაც ითავსებენ. ფიგურატიული ჩანართებისა და დეკორის, როგორც გაფორმების ორიგინალური სინთეზით ნატო ერისთავი კერამიკის გამოყენებით-ფუნქციურ მნიშვნელობას იდეური საფუძვლიდან განაზოგადებს. ამ განზოგადებაში ხელოვანი ქმნის სერიებს, სადაც ვლინდება არქიტექტურისადმი ინტერესი და ნამუშევრის სივრცული გააზრება. მისი შთაგონება არქაული ფორმებით თანადროულ გამომსახველობასთან კავშირდება.

ნატო ერისთავი ერთ-ერთი მოწინავე ხელოვანია, ვინც თიხის მედიუმში უწყვეტ ექსპერიმენტებს ახორციელებს და თავისი არტისტული და საკურატორო საქმიანობით კერამიკის დარგის განვითარებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს.





ხელოვანის შესახებ


ნატო ერისთავმა 1994 წელს დაასრულა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია კერამიკის მიმართულებით.

2006-2013 წლებში იყო აკადემიის მიწვეული პედაგოგი. 2007 წლიდან არის ქართული ხელოვნების და რეწვის ფონდის “თიხის ოფისის” თანადამფუძნებელი. 2013 წელს დაარსა ქართული ფაიფურის შემოქმედებითი სახელოსნო “White Studio”, 2014 წელს კი — ქართული კერამიკის ცენტრი და გალერეა “Workshop”.











ნატო ერისთავის 7 პერსონალური გამოფენა მოეწყო აშშ-ში, აზერბაიჯანში, საქართველოში. მონაწილეობა აქვს მიღებული სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციაში, სიმპოზიუმსა და გამოფენაში 14 ქვეყანაში (აშშ, იაპონია, ჩინეთი, საფრანგეთი, შვედეთი, ტაილანდი, დანია, ეგვიპტე, ლატვია, ხორვატია, რუმინეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი). ის არის საქართველოში განხორციელებული 4 საერთაშორისო კერამიკის ფესტივალის ორგანიზატორი და კურატორი. ნატო ერისთავი მონაწილეობს სხვადასხვა პროექტებსა და გამოფენებში და ეწევა აქტიურ შემოქმედებით საქმიანობას საქართველოსა და უცხოეთში.



nato eristavi

REACH art VISUAL
ART consulting company

PRESENTS

CLAY TODAY



FORM & VISUAL EXPERIMENT are highly accentuated in NATO ERISTAVI's work.



Nato Eristavi is one of the distinguished artists who work in the clay medium. She creatively transforms clay objects into installations - creating both interior objects and site-specific sculptures located in different parts of the world.

Form and visual experiment are highly accentuated in Nato Eristavi's work. Through expressive understanding and conceptualization, the artist develops the unlimited possibilities of clay as a form-creating material. Eristavi's works often deal with the processing of archetypal symbols by a modern, alternative approach. Works as face-icons often take on the function of wall objects as well. With the original synthesis of figurative inserts and decor as embellishment, Nato Eristavi uses ceramics to generalize the functional meaning from an ideological basis. In this generalization, the artist creates series which display the interests towards architecture and the special understanding of objects. Her inspiration is associated with contemporary expression in archaic forms. Nato Eristavi is one of the leading artists who carries out continuous experiments in clay medium and contributes significantly to the development of the ceramics field through her artistic and curatorial activities.



About the Artist:

Nato Eristavi graduated from Tbilisi State Academy of Arts in 1994 with a degree in ceramics. In 2006-2013 she was a visiting teacher at the academy. Since 2007 she has been the co-founder of the "Clay Office" of the Georgian Arts and Crafts Foundation. In 2013, she founded the Georgian porcelain creative studio "White Studio". In 2014, she founded a Georgian Ceramics Center and Gallery - "Workshop". Nato Eristavi has held 7 personal exhibitions in the USA, Azerbaijan, Georgia. She has participated in various international conferences, symposiums and exhibitions in 14 countries (USA, Japan, China, France, Sweden, Thailand, Denmark, Egypt, Latvia, Croatia, Romania, Turkey, Azerbaijan). She is the organizer and curator of 4 international ceramics festivals in Georgia. Nato Eristavi participates in various projects and exhibitions and is actively involved in creative activities in Georgia and abroad.







სალომეა ბაუერი
ლიზა კვანტალიანი
თამარ (თამა) კვანტალიანი
ნაილი ვახანია
მაკო ღომაძე

ახალგაზრდა ხელოვანების წარდგინება



ხელოვნების სინთეზური განვითარება ის გარდაუვალი დინამიკაა, რაც დღევანდელი თანამედროვე ცხოვრებისთვის სახასიათოა. ხშირად კრიტიკული, თვითკმარი და სტაგნაციური პროცესები რეფლექსიურ მდგომარეობებს გვთავაზობენ. ამ რუბრიკაში წარმოდგენილია ავტორები, რომელთა ნამუშევრები 2020-2021 წლის რთული და გარდამტეხი პერიოდის განმავლობაში შეიქმნა და ამ პერიოდის შემოქმედებით პროცესს ასახავს. აქ წარმოდგენილი არტისტული ძიებები ვიზუალური დღიურებია, რომელთა გაცნობა ახალგაზრდა ხელოვანების სამყაროში შებიჯებას, მათი შეგრძნებების, ხედვების და მდგომარეობების კვლევას გვთავაზობს.

სინთეზი, როგორც შერწყმა და ამის საპირისპიროდ დისტანცირება, როგორც შეფასება - ორი მდგომარეობა ხუთი განსხვავებული ხედვით კონსტრუირდება. ერთი წლის მანძილზე დაგროვებული შემოქმედებითი ძიებების ანარეკლი, განსხვავებულ თემებს და შთაგონებებს გვაძლევს, გვაფიქრებს და წარმოადგენს ხელოვნების ვიზუალურ-ესთეტიკურ და იდეურ-კონცეპტუალურ სინთეზს, სადაც ავტორი მაძიებელი, დამკვირვებელი და შემფასებელია.



სალომეა ბაუერის ბოლო ერთი წლის (2020-2021) განმავლობაში შესრულებული ნამუშევრები ინტიმური და პერსონალური გამოცდილებების ანაბეჭდებია. ხელოვანისთვის სახასიათო მგრძნობელობა კრიზისის, იზოლაციის, განმარტოების და გაუცხოების საკითხებს ცხადი ესთეტიკურ-კონცეპტუალური ფორმებით ეხმიანება. ბაუერის ნამუშევრებში სხეულის ფემინური საწყისები ინტერპერსონალური დიაპაზონით განივრცობა და განზოგადებულ ფსიქო-ემოციურ მდგომარეობებს ასახავს. თვითგამორკვევის პროცესი ხშირად ჰედონისტური და ესთეტიკური


სალომეა ბაუერი




მახასიათებლებით სხეულის გააზრებას ფიგურატიულიდან აბსტრაქტულ განზოგადებამდე ახდენს. ბაუერი თავისი ფემინური ხედვით, ბუნებრივ საწყისებთან მიახლოებით, მისეულ მითოლოგემებს ავითარებს: ურბანულ სივრცეში თანაზიარი ქალი ანგელოზი, ოთახის სიღრმეში მებრძოლი წმ. გიორგი თუ ფერის სიღრმიდან ამოზრდილო და ფერის ლანშაფტშივე ჩაძირული სხეულები სალომეა ბაუერის არაორდინარული, ექსპრომტული, თამამი და თვითმყოფადი სამყაროს ნაწილი - ერთგვარი ვიზუალური განაცხადებია.

ხელოვანის შესახებ





სალომეა ბაუერი რეჟისორი და ხელოვანია. ფერწერულ ნამუშევრებში თავისი პერსონაჟებით ის წინა პლანზე გენდერულ საკითხებს წამოსწევს. ხელოვანი დაინტერესებულია ადამიანისა და საზოგადოების წინააღმდეგობრივ კონტექსტში სეპარატიზმის, ინტეგრაციისა და თვითიდენტიფიკაციის თემატიკით. სალომეა ბაუერმა დაამთავრა VGIK (მოსკოვი, რუსეთი) დოკუმენტური კინოს რეჟისურა. იგი აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო და ადგილობრივ გამოფენებში, სხვადასხვა სარეზიდენციო პროექტებში. მისი ნამუშევრები ინახება კერძო კოლექციებში საქართველოსა და საზღვარგარეთ.



ლიზა კვანტალიანი

ლიზა კვანტალიანის შემოქმედება აბსტრაქტულ-ექსპრესიული გზით გამოსახავს სხეულს და შეგრძნებებს. ხელოვანი ქვეცნობიერად უახლოვდება ევროპული აბსტრაქციონიზმის ავანგარდულ საწყისებს და საკუთარი ძიების პრიზმაში ავითარებს მას. ლიზა კვანტალიანი ბოლო პერიოდის ნამუშევრებში სურვილის ქვეცნობიერი იმპულსებთან კავშირით ინტუიტურ მიმართებებს ასახავს. ნამუშევრები თავისი დრამატული, ზოგჯერ ექსპანსიური მუხტით ხელოვანის ირაციონალურ და ირეალურ შრეებთან აახლოებს მნახველს. დაფიქრებისა და შეგრძნებების ზღვარგადალახვით, შემოქმედებითი უწყვეტობის ჩვენებითა და ექსპრესიული სიმძაფრით ლიზა კვანტალიანი ფსიქო-ემოციურ გააზრებას ვიზუალურად აფორმირებს. მისი შემოქმედებისთვის სახასიათო ფერების დომინაცია და ასიმეტრიულობა, ხშირად არაადამიანური ფორმებით გადაწყვეტილი რღვევითი დესტრუქცია მშვენიერების სწრაფვასთან ერთად მთლიანდება ხელოვანის შერეული ტექნიკით შესრულებულ სხვადასხვა კომპოზიციაში. ლიზა კვანტალიანი ფარულისა და ხილულის ურთიერთმონაცვლეობით უწყვეტ გარდაქმნად ველს ავითარებს, სადაც სხეული კარგავს ნატურალისტურ მნიშვნელობას და ემოციური ანალიზის საგნად იქცევა.













ხელოვანის შესახებ

ლიზა კვანტალიანი სწავლობს თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ფერწერის ფაკულტეტის მეოთხე კურსზე. მონაწილეობას იღებს სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივ გამოფენებში. ბოლო პერიოდში მონაწილეობდა ჯგუფურ გამოფენებში თბილისსა და დრეზდენში. 2021 წლიდან არის მარგო კორაბლევას პერფორმანსის თეატრის დასის წევრი.





თამარ (თამა) კვანტალიანი

თამარ (თამა) კვანტალიანი ახალგაზრდა ხე-ლოვანია, რომელიც მუშაობს ციფრულად და ფერწერის მედიუმში. მის შემოქმედებაში ვირ-ტუალური სამყაროს გავლენა და საკუთარი პი-როვნული შრეების კვლევა განზოგადებულ ფორმებში ვლინდება. ხშირად იუმორითა და ნაივური მგრძნობელობით გაჯერებული მო-მენტების ერთობლიობაში ხელოვანი ავტო-პორტრეტების სერიას და გარემომცველი რეა-ლობის კოლაჟებს წარმოგვიდგენს. სიტყვე-ბისა და ფრაზების ფრაგმენტაცია თამას ნამუ-შევრებში მისი განწყობების გამომსახველობი-თი ავთენტური ნაწილია. ამგვარი თამაშობრი-ვი მდგომარეობის კვლევით თამა კვანტალი-ანი ასოციაციური კავშირების ჯაჭვს ქმნის. მას-თან შემოქმედებითი დინამიკა “შიგნიდან გა-რეთ” ცირკულირებს და იდეურად მისი პირადი გამოცდილებებიდან მიღებული შთაბეჭდილე-ბები გარე რეალობასთან ბრუნდება. თამა კვანტალიანის ფერწერას ახასიათებს “ვირ-ტუალობის ეფექტი”. ხელოვანი გამოსახავს თანადროულ ნიშნობრივ სისტემებს და მისე-ულ, დიგიტალურ სიმბოლიზმს ავითარებს.

ხელოვნის შესახებ

თამარ (თამა) კვანტალიანი თბილისის სახელმწიფო სამხატრო აკადემიის პირველი კურსის სტუდენტია, სწავლობს ქანდაკების მიმართულებით . ფლობს და ავითარებს ციფრულ ხელოვნებას, მონაწილეობს სხვადასხვა ექსპერიმენტულ პროექტებსა და ჯგუფურ გამოფენებში. თამა კვანტალიანი 2021 წლიდან არის მარგო კორაბლევას პერფორმანსის თეატრის დასის წევრი.









ნაილი ვახანიას

ნაილი ვახანიას შემოქმედება სხვადასხვა მედიას მოიცავს (ობიექტი, ინსტალაცია, ხელოვანის წიგნი). გატაცება ფერწერით მისი ბოლო პერიოდის სამუშაო პროცესის ნაწილია. ფერწერული ნამუშევრების სერია, რომელიც მან 2020-2021 წლებში შეასრულა ხელოვანის ვიზუალური კვლევის ობიექტივიზაციას წარმოაჩენს. ნაილის სამყარო რეფლექსიურად აკავშირებს საგნებს, მოვლენებს, წარმოდგენებს და მრავალშრიანი ინტერპრეტაციით განავრცობს მათ. ნივთები და ლანდშაფტები, ბუნება და ურბანული გარემო, ინტერიერი და ექსტერიერი ხელოვანის მიკრო მონოლოგებია. ყოველდღიურობის რუტინაში დაბადებული ესთეტიკური მიმართება ზოგჯერ სცენოგრაფიულ-დეკორატიული გაფორმების ხასიათსაც იძენს. ხელოვანის ამგვარი ვიზუალური დაკვირვებებით ტყე, ოთახი, მდინარის ნაპირი, ქუჩა, შენობა თუ ტანსაცმელი უსარულო ფიქრის საწყისებად გარდაიქმნება. ფერის ლაკონურობითა და ფორმისეული დეტალიზაციით ნაილი ვახანიას ნამუშევრებში ჰარმონიული სიმშვიდე, დისტანცირებული აღქმა და შინაგადი ღელვა ერთმანეთის მონაცვლეობით ფორმირდება.







ხელოვანის შესახებ



ნაილი ვახანიამ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია ტექსტილის დიზაინის ფაკულტეტი. სწავლობდა CCA - თბილისის სამაგისტრო პროგრამაზე. ნაილი აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა საერთაშორისო და ჯგუფურ პროექტებში საქართველოში და უცხოეთში.

მაკო ღომაძე

ძირითადად მუშაობს ტრადიციულ მედიაში. მისთვის ზეთის საღებავი არის ის მასალა, სადაც ყველაზე კომფორტულად გრძნობს თავს ამ ეტაპზე. მისი შემოქმედების წყარო მყარად ეფუძნება შინაგან დიალოგს, ქვეცნობიერში წარმოქმნილ კრიტიკულ საკითხებს, სიზმრებს და ზოგადად, დამოკიდებულებას სამყაროს მიმართ. მისი ნამუშევრები გაჟღენთილია სიმბოლიზმითა და დინამიზმით. ავტორის მიზანია, ერთი შეხედვით ესთეტიურად და მარტივად გადმოცემული ვიზუალური ენით, კონკრეტული ნამუშევრის კვლევის ინტერესი გააჩინოს, რომელიც განსხვავებული გზით მიდის, ვიდრე პირველი შთაბეჭდილებით.



ხელოვნების გასაღები



დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, ბაკალავრი და მაგისტრატურა ფერწერის განხრით. რეგულარულად მონაწილეობს ლოკალურ თუ საერთაშორისო გამოფენებსა და რეზიდენციებში. ამჟამად მუშაობს თბილისში, თავის სტუდიაში. მისი ნამუშევრები ინახება კოზენცას თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის ფონდში, კერძო კოლექციებში ევროპაში, კანადასა და შეერთებულ შტატებში.







REACH art VISUAL
ART consulting company

PRESENTS

BLOG OF AN ART HISTORIAN



Mariam Shergelashvili


Introducing emerging artists

Synthetic development of Art is an unavoidable dynamic characteristic of modern life. Critical, self-sufficient, and stagnant processes often offer us reflective situations. This rubric will present authors who created works in the difficult turning point of 2020-2021 and reflect the creative process of this period. Artistic searches explored here are visual diaries, which allow us to step into the world of the emerging artists and examine their feelings, visions and their states.

Synthesis as a fusion and distancing, its opposite, as evaluation – two states constructed with five different visions. A reflection of the creative pursuits accumulated over the course of a year gives us different themes and inspirations, makes us think and represents a visual-aesthetic and ideological-conceptual synthesis of art, where the author is a seeker, observer and evaluator.

Salomeya Bauer





The works created by Salomeya Bauer over the last year (2020-2021) are a reflection of intimate and personal experiences. The sensitivity, characteristic of the artist, responds to the issues of crisis, solitude, isolation and alienation in clear aesthetic-conceptual forms. In Bauer's works, the feminine origins of the body are extended across the interpersonal range and reflect generalized psycho-emotional states. The process of self-determination often leads to the perception of the body with hedonistic and aesthetic characteristics from figurative to abstract generalization. Bauer, with her feminist vision, approaching natural origins, develops her own mythologies: a female angel in an urban space, a fighter St. George in the depths of the room, or the bodies that grow out of the depths of color and immerse themselves in the color landscape are part of Salome Bauer's extraordinary, impromptu, bold and original world - they are a kind of visual statements.



ABOUT THE ARTIST:

Salomeya Bauer is a film director and artist. In painting, her characters raise gender issues. She is interested in the opposition of human and society in the context of separatism, integration and the search for self-identification. Salomeya Bauer graduated from VGIK (Moscow, Russia) as a documentary filmmaker. She actively participates in international and local exhibitions, different residency projects. Her works are kept in different collections in Georgia and abroad.



Liza Kvantaliani's work depicts the body and sensations in an abstract-expressive way. The artist subconsciously approaches the avant-garde origins of European abstractionism and develops it through the prism of her own search. In her recent works, Liza Kvantaliani explores the intuitive relationships in connection with subconscious impulses of desire. The works bring the viewer closer to the irrational and irreal layers of the artist with their dramatic, sometimes expansive charge. By transcending the boundaries of thought and feeling, by displaying creative continuity, and by expressive intensity, Lisa Kvantaliani visually shapes psycho-



LIZA KVANTALIANI

emotional understanding. The dominance and asymmetry of colors characteristic of her work, the vicious destruction often decided by inhuman forms, together with the pursuit of beauty, are integrated into various compositions performed by the artist's mixed technique. Liza Kvantaliani develops a field of continuous transformation by alternating the hidden and the visible, where the body loses its naturalistic meaning and becomes the subject of emotional analysis.





about the artist

Liza Kvantaliani is a fourth-year painting student at the Tbilisi State Academy of Arts.

She participates in various local and international exhibitions. Recently, she participated in group exhibitions in Tbilisi and Dresden.

Since 2021 she has been a member of the Margo Korableva Performance Theatre.


Tamar (Tama) Kvantaliani







Tamar (Tama) Kvantaliani is an emerging artist working on digital media and painting. In her work, the influence of the virtual world and the study of her own personal layers are manifested in generalized forms. Often combined with humor and naive sensibility, the artist presents a series of self-portraits and collages of her surrounding reality. Fragmentation of words and phrases are an authentic part of mood expression in Tama's works. By researching such a state of play, Tama Kvantaliani forms a chain of associative connections. With her, creative dynamics circulate "from the inside out" and ideologically the impressions gained from her personal experiences return to the external reality. Tama Kvantaliani's painting is characterized by a "virtual effect". The artist depicts contemporary sign systems and develops her own, digital symbolism.



About the Artist

Tamar (Tama) Kvantaliani is a first-year student at the Tbilisi State Academy of Arts, studying sculpting. She works in and develops digital art, participates in various experimental projects and group exhibitions. Tama Kvantaliani has been a member of the Margo Korableva Performance Theatre since 2021.

naiLi vakhania





Naili Vakhania's work inclu-des various media (object, installation, artist's book). A passion for painting is part of her recent work process. The series of paintings she performed in 2020-2021 show the objectification of the artist's visual research. Naili's world reflexively connects objects, events, ideas, and expands them through multilayered interpretation. Items and landscapes, nature and urban environment, interior and exterior are micro monologues of the artist. The aesthetic attitude born in the daily routine sometimes acquires the character of scenographic-decorative embellishment.

With such visual observations of the artist, forest, room, river bank, street, building or clothes are transformed into the origins of endless thinking. Harmonious serenity, distant perception and inner turmoil are alternated in Naili Vakhania's works with color laconicism and from-based detail.



about the artist







Naili Vakhania graduated from Tbilisi State Academy of Arts, faculty of Textile Design. She studied at CCA - Tbilisi Master's Program. Naili actively participates in various international and group projects in Georgia and abroad.

makolomadze







Mainly works with traditional media. For her, oil paint is where she feels most comfortable at this point. The source of her creativity is firmly based on internal dialogue, critical issues arising in the subconscious, dreams and, in general, attitudes towards the world. Her works are saturated with symbolism and dynamism. The aim of the author is to spark interest in the study of a particular work in a seemingly aesthetically pleasing and simply conveyed visual language that takes a different direction from the first impression.

About the Artist


She graduated from Tbilisi State Academy of Arts with a bachelor's and master's degree in painting. Regularly participates in local or international exhibitions and residences. She is currently working in her studio in Tbilisi. Her works are housed in the Cosenza Museum of Contemporary Art Foundation, in private collections in Europe, Canada and the United States.





REACH art VISUAL
ART consulting company
PRESENTS

ნარდგინება



ფერადი კაბრიოლეტი

ჯულია სანიკიძე ბექა საყვარელიძე მარიამ შაქარაშვილი

„ფერადი კაბრიოლეტი“, ახალი თაობის წარმომადგენელ ხელოვანთა ჯგუფი 2015 წელს შეიქმნა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რექტორის, პროფესორი გია გუგუშვილის, ხელმძღვანელობით. ჯგუფის ძირითადი წევრები მარიამ შაქარაშვილი, ბექა საყვარელიძე და ჯულია სანიკიძე არიან. თითოეული მათგანი მუდმივი ძიებისა და ექსპერიმენტების მეშვეობით მრავალფეროვან თემატიკაზე მუშაობს. ფერწერის მედიუმთან ერთად აწყობენ პერფორმანსებს, ინსტალაციებს, აქვთ აქტიური საგამოფენო ისტორია. ჯგუფის ახალგაზრდული შემართება მხატვრული ინიციატივების თამამ გარდასახვას გამოხატავს.

















რას ნიშნავს შენთვის ხელოვნებით მეტყველება საზოგადოებასთან

ხელოვნება ჩემთვის სამეტყველო ენა, თვითშემეცნება და აღმოჩენების დაუსრულებელი ხაზია. საკუთარ თავზე დაკვირვება, შინაგანი რხევებისა და იმპულსების შეცნობა, ძალებისა და ინერგიების დაბალანსება ძალიან მნიშვნელოვან ლაიტმოტივად მექცა, გარემოსთან ამ ყველაფრის შერწყმა კი ბადებს ყოველთვის რაღაც ახალს. მთავარია, რას გავაგზავნი ჩემი შინაგანი სამყაროდან და ვაკვირდები, როგორ იცვლება ჩემი გარემო და გარემოცვა, რომელიც უკან მიბრუნებს ენერგიებს - ეს უკუკავშირი ძალიან მომწონს და სწორედ ეს პროცესები მცვლიან. მე ვარ ემოციური ადამიანი და ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ის საზოგადოება, რომლის ნაწილიც ვარ, მნიშვნელოვანია მათი დამოკიდებულებები, თუმცა, ყოველთვის მე ვარ ხოლმე ის, ვინც მათთან პირდაპირ თუ ირიბ კონტაქტს ამყარებს. ვფიქრობ, ამიტომაც მომწონს ინტერაქტული პერფორმანსების კეთება. მე ვარ ხელოვანი, რომელსაც არ შეუძლია რაიმე მოვლენის მხოლოდ თავისთვის შენახვა - ჩემთვის საჭიროა ყველა მოვლენის გაზიარება და მისთვის საყოველთაო „მისიის“ მინიჭება, ამიტომაც მიყვარს გუნდური მუშაობა და რაიმე ქმედებისგან გამოწვეული შედეგების გუნდთან ერთად გაზიარება.



არსებობს სადღესასწაულო ხელოვნება და რას ნიშნავს ეს?

ვფიქრობ, ყველა ტიპის ხელოვნება თავის თავში მოიაზრებს დღესასწაულს - ისეთი ნამუშევრის შექმნა, რომელიც ავტორს ცოტა ხნით მაინც აღაფრთოვანებს და სიამოვნებას მიანიჭებს, უკვე დღესასწაულია. ჩემი სამუშაო პროცესი ხშირად დიდ ძალისხმევას მოითხოვს. ჩემი სტილი, მასალა, ფორმატი და სამუშაო პროცესი როგორც სიამოვნებას მანიჭებს, ასევე მფიტავს და დიდ ენერგიას მაცლის, ამიტომ ვგრძნობ ხოლმე, რომ მცირე პაუზები მესაჭიროება სერიიდან სერიაზე გადასასვლელად. სწორედ ამ მომენტებში ვუსმენ საკუთარ თავს და ძალიან მცირე ზომის ზღაპრულ ქალაქებს ვხატავ, ქალაქებს, რომლებიც არც კი არსებობენ, ისინი მხოლოდ ჩემ მიერ გამოგონილი სამყაროს ნაწილები არიან და მიუხედავად მათი არ არსებობისა, ისინი ყველაზე უფრო რეალურად მესახება, ხატვის ბოლო შტრიხები კი ჯადოსნური სინათლეების ანთება და თოვლის ფანტელებია, ამ დროს ვგრძნობ, რომ ვბედნიერდები და შინაგანი შუქები მენთება. ჩემთვის ეს კონკრეტული პროცესი არის მედიტაცია და ვგრძნობ, როგორ ვიცლები უარყოფითი ემოციებისგან და ვხდები ბევრად უფრო კეთილი.



მე იმ სამყაროს ნაწილი ვარ...(და განაგრძე)

მე იმ სამყაროს ნაწილი ვარ, სადაც გულგატეხილი ადამიანები ცხოვრობენ, რომლებსაც განუხორციელებელი მიზნებისა და დამსხვრეული ოცნებების სუნი აქვთ, რომლებიც ერთ დროს იმედებითა და სურვილებით იყვნენ სავსე და გარემო პირობებმა არ მისცეს საშუალება, ისინი გამხდარიყვნენ, ვინც სურდათ. სწორედ ეს იწვევს ხოლმე მათგან განსხვავებული ადამიანების მიმართ აგრესიას, ეჭვისთვალით ყურებას, თუნდაც იგნორს... ეს განსაკუთრებით სახელოვნებო წრეებს ეხება. იყო პერიოდები, განაწყენებული ვყოფილვარ ამ და მსგავსი დამოკიდებულებების გამო, თუმცა, ახლა საკმარისი გამოცდილება და საკუთარი თავის რწმენა მაქვს, რომ ამ ყველაფრის ბლოკირება და ასხლეტა შევძლო. მე იმ საზოგადოების ნაწილი ვარ, რომლის მიმართაც მადლიერების დიდი გრძნობა გამაჩნია თითოეული იმედგაცრუებისა თუ გულისტკენის გამო, რადგან ამ ყველაფერმა შემქმნა ისეთი, როგორიც დღეს ვარ და ეს დღევანდელი მარიამი მე ძალიან მომწონს. დღეს მე ძალიან ძლიერი ვარ და ამ ძალების შეგრძნება მაკეთებინებს ყველაფერს, რაც შეუძლებელი მეგონა და ვიცი, რომ ყველაფერი წინ არის... მე იმ საზოგადოების წევრი ვარ, რომელიც ძალიან მიყვარს, სადაც საოცარი ადამიანები მარგალიტებივით გამოირჩევიან და უბედნიერესი ვარ, რადგან ცხოვრებამ მათ შემახვედრა, რამდენიმე მათგანმა ჩემი ცხოვრება კიდეც შეცვალა და მე არ მჯერა შემთხვევითობების, ვიცი, რომ ჩვენი გადაკვეთები გარკვეულ მისიებს ემსახურებიან. სამყაროში ერთმანეთს დაახლოებით ერთი ენერგეტიკის მატარებელი ადამიანები ხვდებიან და ისინი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ემოციებს ცვლიან - ჩვენ ერთად ვქმნით ჯადოსნურ გარემოს, სიყვარულით სავსესა და ბრწყინვალეს, მთავარია, შევძლოთ ერთმანეთისთვის გზების განათება და საკუთარი შესაძლებლობების დაჯერება.







ბექა საყვარელიძე

რას ნიშნავს შენთვის ხელოვნებით მეტყველება საზოგადოებასთან

ხელოვანი პირველ რიგში, არტისტული ქმედებით გამოხატავს საკუთარი თავის ურთიერთობას გარესამყაროსთან, წარსულსა და მომავალთან, ემოციასა და ინტელექტთან, კულტურასა და უბრალოდ ყოფითობასთან.

როგორც ხელოვანისთვის, საზოგადოებასთან ჩემი შემოქმედებით ურთიერთობა, თუ ის მხოლოდ ემოციურ კავშირს ისახავს მიზნად, ვთვლი, რომ პრობლემას არ წარმოადგენს. არტისტის საფიქრალი და საბრძოლო მოედანი მიმაჩნია ინტელექტის, გააზრების, შემეცნებისა და მუდმივი ძიების არეალად. თუმცა, ნამდვილი ნამუშევარი, რომელიც პირველ რიგში ხელოვანის თავში სრულდება, სახე ეძლევა და მთელი თავისი სინაღდით გადის მნახველთან - გულგრილსა და უფიქრალს ვერ ტოვებს საზოგადოებას.





არსებობს სადღესასწაულო ხელოვნება და რას ნიშნავს ეს?

ყოველი დღესასწაული წარსულის ამოსუნთქვა და მომავლის ჰაერით შევსებაა, რაღაც ახლის მოლოდინი. დღესასწაული აერთიანებს და კრავს საზოგადოებას, ეს არის ამ დღეთა მთელი ბედნიერება. ყოველი ღირებული ნახატის შექმნა, რომელიც ისტორიას დარჩა ან დარჩება, თვითონ დღესასწაულია, ხოლო ის, რაც მხოლოდ ან დღეებს ალამაზებს - უბრალოდ დროებითი დეკორაცია.

მე იმ სამყაროს ნაწილი ვარ... (და განაგრძე)

მე იმ სამყაროს ნაწილი ვარ, სადაც საკუთარი სივრცე მოვიწყვე, სადაც მარტო, უსაქმოდ ყოფნა არ არსებობს, სადაც თითოეული ჩემი პერსონაჟის სახელსა და ისტორიას მე ვწერ, სამყარო კი სამყაროობს მთელი თავისი ავითა თუ კარგით.







ჯულია სანიკიძე



- რას ნიშნავს შენთვის ხელოვნებით მეტყველება საზოგადოებასთან

ეს არის პირდაპირ კავშირი საზოგადოებასთან, ის ემოციური ფონი რომელიც არის ჩემში, გამოხატავს ჩემს პიროვნულ და სულიერ მდგომარეობას, ტილოზე გადამაქვს მინიმალური ფერთა სინთეზით, შტრიხით და მუხტით რომელიც ილექება ყოველ-დღიურობიდან.

- არსებობს სადღესასწაულო ხელოვნება და რას ნიშნავს ეს?

ზოგადად ხელოვნებას ძალუძს შექმნას სადღესასწაულო განწყობა, თავისი ემოციური დატვირთვით, დღესასწაულია როდესაც შენი ნამუშევრით შეგიძლია გადაიყვანო მნახველი ხელოვნების უკიდეგანო სივრცეში სადაც არ არსებობს საზღვრები. მას აქვს ის ჯადოსნური წრე, რომლშიც შეუძლებელია არ მოხვდე. ხოლო მე, როგორც ხე-ლოვანს მიორმაგდება ემოცია და სიხარულის შეგრძნება ყოველი დღესასწაულისას.

- მე იმ სამყაროს ნაწილი ვარ...(და განაგრძე)

რომელშიც სიკვეთე გადამდებია.




REACH art VISUAL
ART consulting company

PRESENTS

SPECIAL REPRESENTATION

Colorful Cabriolet





Mariam Shakarashvili
Julia Sanikidze

SPECIAL REPRESENTATION

Beka Sakvarelidze

A group of the representatives of the new generation of artists called “Colorful Cabriolet” was established in 2015 with the leadership of Gia Gugushvili, the rector of Tbilisi State Academy of Arts.


Main members of the group are Mariam Shakarashvili, Beka Sakvarelidze, and Julia Sanikidze. Each of them works on diverse themes with constant search and experiment. Alongside painting, they arrange performances and installations, and have an active exhibition history. The youthful attitude of the group reflects the bold transformation of artistic initiatives.





1. What does it mean for you to communicate to the public through art?

Art is a spoken language for me, self-realization and an endless line of discovery. Observing myself, being aware of internal oscillations and impulses, balancing forces and energies have become a very important leitmotif for me, and combining all this with my surroundings always evokes something new. The main thing is what I send out from my inner world and observe how my surroundings change, how the world brings back the energies - I like this feedback very much and it is these processes that change me. I am an emotional person and, for me, the society I am a part of is very important, their attitudes are important, however, I am always the one who makes direct or indirect contact with to the outside world. I think that's why I like to do interactive performances. I am an artist who cannot keep any event for herself - I need to share all the events and give them a universal "mission", so I love teamwork and sharing the results of any action with the team.





Mariam Shakarashvili



2. Does festive art exist and what does it mean to you?

I think all artists sees festivity in themselves – they create works which will fascinate and please the creator for at least a little bit. My work process often requires a lot of effort. As much as my work gives me pleasure, my style, materials, format and process exhaust me and take up a lot of my energy. For this reason, I feel that I need short pauses between moving between different series. It is in these moments that I listen to myself and draw very small fabulous cities, cities that do not even exist, they are just parts of the world I invented and despite their absence, they feel the most realistic to me. The last details of the painting are igniting the magic lights and adding snowflakes, at this time I feel that I am happy and my inner lights are shining. For me, this particular process is like meditation and I feel how I drain all negative emotions and become much kinder.

3. I am a part of the world in which...

I am a part of the world in which heartbroken people live. People who smell like unachieved goals and shattered dreams. Who once were filled with hopes and wishes, but the surrounding reality did not let them become who they wanted. This is what causes their aggression towards different people, their doubt, even their tendency to ignore. This specifically applies to art circles. There were periods when I was upset by such an attitude, however, now I have enough experience and belief in myself that I can block out and ricochet all of this. I am a part of the society towards which I feel very grateful. I am grateful for every disappointment and heartbreak, because all of this made me who I am today, and I really like the Mariam the way she is now. Today, I am very strong and feeling this strength makes me do everything I thought impossible and I know that this is just the beginning… I am a member of the community that I love very much, where amazing people stand out like pearls, and I am more than happy that life has let me meet them. A few of them have even changed my life and I do not believe in coincidences; I know us crossings paths serves a certain mission. In the world, people with similar energies meet each other and they exchange vital emotions - together we create a magical environment, full of love and brilliance, the main thing is to be able to light the way for each other and believe in our own potential.



1. WHAT DOES IT MEAN FOR YOU TO COMMUNICATE TO THE PUBLIC THROUGH ART?

First of all, an artist expresses his relationship with the outside world, past and future, emotion and intellect, culture and simply being through artistic action. As an artist, my creative relationship with the public, if it is only for emotional connection, is not a problem. I consider the artist's thinking and battlefield as an area of intellect, comprehension, cognition and constant search. However, the real work, which is primarily done in the artist's head, is given a face and passes with all its sincerity to the viewer - it cannot leave the public indifferent and thoughtless.

2. DOES FESTIVE ART EXIST AND WHAT DOES IT MEAN TO YOU?

Every holiday is a breath of fresh air and a refreshment of the future, an anticipation of something new. The festivities unite the community, this is the whole happiness of these days. The creation of every valuable painting that has remained or will remain in history is a festivity in itself, and that which only embellishes the days is merely a temporary decoration.

3. I AM A PART OF THE WORLD WHICH…

I am a part of the world in which I created my personal space, where being alone or doing nothing is impossible, where I write the name and story for each of my character, and the world keeps on being the world with all its good and bad.






Julia Sanikidze

1. What does it mean for you to communicate to the public through art?

It is a direct connection with the community, it is the emotional background that is in me, it expresses my personal and spiritual condition, I transfer it to the canvas with a minimal synthesis of colors, strokes and sparkles that emanate from everyday life.





2. Does festive art exist and what does it mean to you?

Generally, art can create a festive mood, with its emotional load, it is a celebration when, with your work, you can transform the viewer into a vast space of art where there are no boundaries. It has that magic circle which is impossible to avoid. For me, as an artist, the emotion and the feeling of joy with each celebration is doubled.

3. I am a part of the world which...

... kindness is contagious

i·STUDIO GRAPHIC DESIGN LABORATORY

GIVE US A CALL. UNLESS YOUR COUSIN CANDOIT

CORPORATE & CONSUMER BRANDING
MARKETING & ADVERTISING DESIGN
PUBLICATION DESIGN
PRINT DESIGN
CORPORATE DESIGN
PACKAGING DESIGN
PHOTOSESSION
WEB DESIGN
WEB DEVELOPMENT

STAMBA HOTEL - 3rd floor
14, M.Kostava St., Tbilisi, Georgia
+995 599 502 500
istudiolab.ge

IMPRESSUM

ISSN 2667-9728 (Online)

ზე-გავლენა ZE GAVLENA

REACH art VISUAL
ART consulting company

14, M. Kostava ST. 0108 Tbilisi, GEORGIA
+995 555 551 171
@ reachart.visual@gmail.com
@ReachArtConsulting
reachart.visual

COVER: Nina Loki

Publishing and Concept	- Thea Goguadze (Tea Nili)
Art Historian	- Mariam Shergelashvili
Editor	- Mariam Shergelashvili
Design	- Irina Kacharava - iStudio
Translation and Editing	- Ketevan Uchaneishvili - Andriy Etcheverry
Interview	- Tamta Tamara Shavgulidze
Interview	- Mariam Shakarashvili - Beka Sakvarelidze - Julia Sanikidze
Photo	- Provided by artists Ketevan Maghularia

This work, including its parts, is protected by copyright. None of the materials may be redistributed or reproduced, in whole or in part, in any formor by any means without the consent of the publisher and the author. This applies to electronicor manual reproduction, including photocopying, translation, distribution and other forms of public accessability

ყდაზე: ნინა ლოკი

გამომცემელი და კონცეფცია	- თეა გოგუაძე (თეა ნილი)
ხელოვნებათმცოდნე	- მარიამ შერგელაშვილი
რედაქტორი	- მარიამ შერგელაშვილი
დიზაინი	- ირინა კაჭარავა - iStudio
თარგამანი და კორექტურა	- ქეთევან უჩანეიშვილი - ანდრი ეჩევერი
ინტერვიუ	- თამთა თამარა შავგულიძე
ინტერვიუ	- მარიამ შაქარაშვილი
ინტერვიუ	- ბექა საკვარელიძე - ჯულია სანიკიძე
ფოტო	- მოწოდებულია ავტორების მიერ - ქეთავან მაღულარია

ეს ნამუშევარი, ყველა ნაწილის ჩათვლით, დაცულია საავტორო უფლებებით. დაუშვებელია ნამუშევრის, მთლიანად თუ ნაწილობრივ, ნებისმიერი ფორმით გამოყენება, გავრცელება, ან გადაღება გამომცემლისა და ავტორის თანხმობის გარეშე. ეს ეხება ელექტრონულ თუ მექანიკურ მეთოდებს, მათ შორის ფოტოასლის გადაღებას,თარგმანს, და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობის სხვა ფორმებს.

In cooperation with

iSTUDIO GRAPHIC DESIGN LABORATORY

14, M. Kostava ST. 0108 Tbilisi, GEORGIA
+995 599 502 500
@ irina.kacharava1@gmail.com
@istudiolab
istudiolab
www.istudiolab.ge

FOTO atelier

განსაკუთრებული მადლობა
ქეთავან მაღულარიას

Special thanks to
KETEVAN MAGHULARIA


Digital Publication - www. http://reachartvisual.com/
ISSN 2667-9728 (Online)
© Reach art Visual 2021
I/D 4045922295 - Georgia

ANNOUNCEMENT

ᲐᲜᲝᲜᲡᲘ

07

2022



ZE GAVLENA

RAV art review 12.2021